საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/80

09 ივნისი 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნანა აბაშიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (04.06.2021, ოქმი N27–20/9 და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (08.06.2021; №535765) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნანა აბაშიძის სადისერტაციო ნაშრომის: **„ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებულ ზოგიერთ ეგზოტთა ეკობიომორფოლოგიური და ბიოქიმიური თავისებურებები აჭარის ზღვისპირეთში"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 17ივნისს 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) ნათელა ვარშანიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი, (თავჯდომარე);

   ბ) მარიამ მეტრეველი – ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი, (მდივანი);

გ) რუსუდან ხუხუნაიშვილი -ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

დ) ნაზი თურმანიძე -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

ე) ბოლქვაძე გია - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;

ვ) ვასაძე თემური-ბათუმის ბოტანიკური ბაღის გოდერძის ალპური ბაღის მენეჯერი, ბიოლოგიის დოქტორი;

დ) დავით ხარაზიშვილი - ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე, ბიოლოგიის დოქტორი;

ე) ნინო მემიაძე - ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი;

ვ) იზოლდა მაჭუტაძე - ბსუ–ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი: **მერაბ ხალვაში**